

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მინისტრის აპარატი



2018 წლის ანგარიში

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის მიერ განხორციელებული სამუშაოების შეფასების მთავარი კრიტერიუმია ნდობის აღდგენისა და შერიგების სფეროში ინოვაციური მიდგომების შემუშავება, აფხაზეთის გახლეჩილი საზოგადოების წევრებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესის ხელშეწყობა, გაყოფილ ტერიტორიებზე მცხოვრებ, საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობა, საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა ტიპის ელექტრონული კომუნიკაციების მეშვეობით ურთიერთობის, დიალოგისა და ნდობის აღდგენის ხელშეწყობა გამყოფი ხაზებით დაშორიშორებულ საზოგადოებას შორის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობა და საერთაშორისო და ადგილობრივი ინტიტუციების დახმარებით, მათი დამეგობრებისათვის ხელშეწყობა. ინოვაციურ პროექტებში სახალხო დიპლომატიის როლის გაძლიერება, კულტურული მემკვიდრეობის, განათლების, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სპორტის და სხვა სფეროში არსებული და ახალი შესაძლებლობის გამოყენება.

აქედან გამომდინარე, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობა მიმდინარეობდა დებულებით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და სამუშაო გეგმის შესაბამისად.

ურთიერთობა საქართველოს ცენტრალურ უწყებებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორთან და ჩართულობა 2018 წლის გამოწვევების განხორციელებაში

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატმა დაამყარა კავშირები იმ უწყებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომელებიც, მინისტრის აპარატის ძირითადი დებულებებიდან გამომდინარე, პირდაპირ კავშირშია აფხაზეთის ა/რ მინისტრის აპარატის საქმიანობასთან.

კერძოდ,

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო
- სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
- საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისია

- თამარ მეფის სახელობის საპატრიარქო უნივერსიტეტი
- საქართველოს ახალგაზრდობის წარმომადგენელი გაეროში
- დელ ბიანკოს ფონდი (იტალია, ფლორენცია)
- სამხრეთ კორეის მშვიდობის საერთაშორისო ორგანიზაცია (HWPL, სამხრეთ კორეა)
- არასამთავრობო ორგანიზაცია „ჰელფინგ ჰენდი“
- არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობა და განათლება“
- ბერგჰოფის ფონდი
- ებერტის ფონდი
- საქართველოს საპატრიარქო
- კავკასიური სახლი
- ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია

პროგრამული პროექტი - „შევსწავლოთ აფხაზური ენა“ (ქ. თბილისი, I – II კვარტალი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „შევსწავლოთ აფხაზური ენა“.

პროექტი განკუთვნილი იყო დევნილთათვის, აფხაზეთში და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრები აფხაზებისთვის და, ასევე, აჭარაში მცხოვრები აფხაზებისთვის.

პროექტის მიზანი იყო აფხაზური ენის შესწავლა და მისი პოპულარიზაცია. პროექტის ფარგლებში შეიქმნა აფხაზური ენის შემსწავლელი ანიმაციური დისკი, რომელიც დაეხმარება აფხაზური ენის შესწავლისა და შენარჩუნების საქმეს. 100-მდე დისკი გადაეცა აჭარის აფხაზურ დიასპორას.

პროგრამული პროექტი - „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“ (თბილისი 21-23 ივნისი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა განახორციელა პროექტი „ქართველი და აფხაზი ახალგაზრდების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის“.

პროექტი მიზნად ისახავდა კონფლიქტის შედეგად გახლეჩილ ქართველ და აფხაზ ახალგაზრდებს შორის კომუნიკაციისა და ურთიერთობების გაძლიერებას, ეროვნული კულტურული ღირებულებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას.

პროექტში მონაწილეობა მიიღო ათმა ქართველმა და ათმა აფხაზმა (ტყვარჩელი, ოჩამჩირე, გალი) ახალგაზრდამ.

ახალგაზრდებმა მიიღეს ცოდნა, რომელსაც ფართოდ გამოიყენებენ მულტიკულტურულ საზოგადოებასთან დიალოგის დროს. აღნიშნულმა შეხვედრებმა დაახლოეს კონფლიქტის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდები, გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები ნდობის აღდგენისა და შერიგებისათვის.

**პროგრამული პროექტი - „სამშვიდობო რესურსები - „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და საქართველოს ევროპული მომავალი“
(აგვისტო, 2018)**

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა პროექტის „სამშვიდობო რესურსები - „ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და საქართველოს ევროპული მომავალი“ ფარგლებში დაიბეჭდა აფხაზეთში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ამსახველი ფოტოები და მოეწყო მათი გამოფენა.

გამოფენის მიზანი იყო ინტერკულტურული მეგობრობის გაღრმავება, არაფორმალური დიალოგისთვის პლატფორმის შექმნა.

პროექტის შედეგად მოხდა ქართულ-აფხაზური ტრადიციული ურთიერთობების პოპულარიზაცია. მოეწყო დისკუსიები, სადაც მონაწილეებს ჰქონდათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება.

პროგრამული პროექტი - „აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“ (ქ. რომი, იტალია, 25-28 სექტემბერი 2018)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით (42 ათასი ლარი) ქ. რომში, საპიენსას უნივერსიტეტში განახორციელა პროექტი - „აფხაზეთის თემატიკაზე მომუშავე პროფესორების, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში“.

პროექტის მიზანი იყო აქტიური ჩართულობა ინტერკულტურულ დიალოგში, კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, განათლების ხელშეწყობა, სხვადასხვა ქვეყნების აკადემიური წრეების წარმომადგენლებისა და ახალგაზრდების ურთიერთდაახლოება, სამშვიდობო პლატფორმის შექმნა.

პროექტის მონაწილეები იყვნენ სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდები და პროფესორები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, აფხაზი ახალგაზრდები.

პროექტის შედეგად მოხდა სხვადასხვა ქვეყნის აკადემიური წრეების წარმომადგენლების დაახლოება. მომზადდა და დაიბეჭდა წიგნი სახელწოდებით „საერთო წარსულით საერთო მომავლისკენ“, რომელშიც შევიდა ქართველი და აფხაზი ავტორების ნაწარმოებები.

პროგრამული პროექტი - „ფოტოგამოფენა „სიჩუმის რეზოლუცია“ (27 სექტემბერი 2018)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ფინანსური მხარდაჭერით და ფონდის „არტექო“-ს ორგანიზებით საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ფრანგი ფოტოდოკუმენტალისტის ორელიენ ვილეთის გამოფენა „სიჩუმის რეზოლუცია – აფხაზეთი“ გაიმართა.

აღნიშნული ფოტოგამოფენის მოწყობის მიზანი იყო, საერთაშორისო საზოგადოებრივ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღეს არსებული რეალობის, მძინე პუმანიტარული მდგომარეობის და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციის ფოტო-პრეზენტაციის ფორმით მიწოდება.

გამოფენა გაიმართა როგორც ქალაქ თბილისში, ასევე ჰააგასა და ბრიუსელში.

პროგრამული პროექტი - „მშვიდობის ლაბორატორია“ (22 ნოემბერი, 2018)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა განახორციელა პროექტი „მშვიდობის ლაბორატორია“, რომელიც გაიმართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

პროექტის მიზანი იყო აფხაზი და აფხაზეთიდან დევნილი მწერლების, პოეტებისა და მხატვრების ნამუშევრების პოპულარიზაცია და მათი როლის ამაღლება ნდობის აღდგენისა და შერიგების საქმეში.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო აფხაზეთიდან დევნილმა 45 ხელოვანმა (მწერლები და მხატვრები), რომლებმაც შექმნეს ნამუშევრები წიგნისთვის „საერთო წარსულით საერთო მომავლისკენ“. გარდა ხელოვანი ადამიანებისა, ღონისძიებას დაესწრნენ სამთავრობო, არასამთავრობო და აკადემიური წრის წარმომადგენლები.

პროგრამული პროექტები - „კვლევა-აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების პოსტრავმული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში“ და დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში (22-23 დეკემბერი, 2018)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულ ცენტრთან“ თანამშრომლობით, განახორციელა პროექტები:

1. კვლევა - აფხაზეთიდან დევნილი საზოგადოების პოსტრავმული ადაპტაცია და მათი ჩართულობა საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში

2. დიასპორების ჩართულობა ნდობის აღდგენისა და შერიგების პროცესებში

ღონისძიების მიზანი იყო სხვადასხვა სახის შემეცნებით ტრენინგებში მონაწილეობით ცნობიერების ამაღლება ისეთ თემებზე, როგორებიცაა: სამოქალაქო განათლების მნიშვნელობა, ახალგაზრდების უფლებები, აქტიური მოქალაქეობა, მოხალისეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, დემოკრატიისა და მშვიდობის მშენებლობა, მეგობრობა ბულინგისა და აგრესიის ნაცვლად, ხელოვნება, როგორც მშვიდობის მშენებლობის გზა და სხვა.

ზემოთ ხსენებული პროექტები მოიცავდა 2-დღიან შემეცნებით ტრენინგებს, რომელშიც 100-მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. მათ შორის იყვნენ თბილისში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი და თბილისში არსებული დიასპორების წარმომადგენელი ახალგაზრდები.

პროექტების შედეგად მოხდა მოსწავლეების ცნობიერების ამაღლება ზემოთ მოცემულ აქტუალურ თემებზე, რომელიც ხელს შეუწყობს მათ აქტიურ მოქალაქეობას.

პროექტის „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“ ფარგლებში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის გახსნა (ზუგდიდი, სოფ. ინგირი, 30 მაისი)

ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის მინისტრის აპარატის პარტნიორობითა და აქტიური თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციამ საქართველოს SOS ბავშვთა სოფელმა განახორციელა პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია“. პროექტის მთავარი მიზანი იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში, დევნილთა ჩასახლებაში (ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობა) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ითვალისწინებდა სპორტული მოედნების (კალათბურთისა და ფეხბურთის) მოწყობას, ასევე, სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვას.

პროექტი დასრულდა 2018 წლის 30 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ინგირში სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის (სპორტული და სათამაშო მოედნები) გახსნით.

ს ა ქ მ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა

დაწესებულია მკაცრი კონტროლი შემოსული დავალებების დროულად და ხარისხიანად შესრულებაზე, შემოსული განცხადება-საჩივრების რეაგირებაზე, მოქალაქეთა მომსახურებაზე.

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში:

1. შემოსულია 146 ოფიციალური წერილი
2. 83 სამართლებრივი აქტი
3. გასულია 138 ოფიციალური წერილი